# კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

## კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უნარების განვითარება მოსწავლეებისათვის

## პედაგოგებს

EDUCATION FOR DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

# ჩართულობა ონლაინსივრცეში

## წვდომა და ინკლუზია

ბავშვები სარგებლობენ ონლაინსამყაროში უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უფლებით.

- დარწმუნდით იმაში, რომ თქვენი მოსწავლეები მხოლოდ სკოლასთან შეთანხმებულ ონლაინხელსაწყოებსა და პლატფორმებს იყენებენ საგაკვეთილო აქტივობებისათვის.
- ნუ გაავრცელებთ მოსწავლეების ფოტოებსა და ვიდეობს მათი მშობლების თანხმობის, ან, ასაკის შესაბამისად, მათივე ნების გარეშე.

## სწავლა და შემოქმედებითობა

ბავშვებს უნდა ესმოდეთ, როგორგ გამოიყენონ ინტერნეტი კრეატიულად, საკუთარი კონფიდენციალურობის ხელყოფის და ზედმეტი პერსონალური მონაცემის გამჟღავნების გარეშე.

- დაავალეთ მოსწავლეებს შექმნან სურათი, ნახატი ან ტექსტი სკოლის ბლოგისათვის.
- გასაჯაროვების წინ, დაეხმარეთ მათ, შეადგინონ კითხვარი პერსონალური მონაცემების დაცვის დასადგენად.

## მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება გულისხმობს იმის ცოდნასაც, თუ რას ნიშნავს პერსონალური მონაცემები და როგორ გამოვიყენოთ ტექნოლოგიები კონფიდენციალურობის ხელყოფის გარეშე.

- იმსჯელეთ პერსონალური და სენსიტიური მონაცემების მნიშვნელობის შესახებ თქვენს მოსწავლეებთან.
- რამდენად აქვთ გააზრებული პერსონალური ინფორმაციის რაობა, როდესაც ანგარიშებს და პროფილებს ქმნიან საყვარელ პლატფორმებზე წვდომისათვის?

# კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

## ეთიკა და ემპათია

პერსონალური ინფორმაციის დაცვა ასევე ითვალისწინებს იმ ადამიანების უსაფრთხოებას, რომლებთანაც კომუნიკაცია გვაქვს.

- მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ ნეტიკეტის მნიშვნელობა, რაც მოიცავს ინტერნეტის სამართლიანად და ეთიკურად გამოყენებას სხვა ადამიანების კონფიდენციალურობის დაცვით.

## ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

როდესაც პლატფორმები, ან კომპანიები აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს, მომხმარებლის უფლებაა იცოდეს, რაში იყენებენ მის ასეთებს. ჩვენ ყველას გვაქვს პერსონალური მონაცემების წაშლის უფლება მას შემდეგ, რაც მათი გამოყენების დათქმული მიზეზი ამოწურულია.

- დარწმუნდით იმაში, რომ მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის მონაცემების ბრუნვა შესაბამისი რეგულაციების დაცვით მიმდინარეობს.
- მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომა შესაძლებელია როგორც მოსწავლეების, ისე პერსონალის კონფიდენციალურობის ხელყოფის მიზეზი გახდეს.

## ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ისწავლონ თავის ჯანსაღად წარმოჩენა ონლაინსივრცეში და იცოდნენ იმის შესახებ, თუ რომელი პერსონალური მონაცემი უნდა დაიცვან მოქმედებისას ან კომუნიკაციისას.

- „დაფიქრდი, სანამ გააზიარებ“- აწარმოეთ დისკუსია ზემოსხენებულ თემაზე თქვენს მოსწავლეებთან.
- იმაზე, რასაც ვასაჯაროვებთ, ხელი მიუწვდება თითქმის ყველას. ზოგმა შესაძლებელია გასაჯაროვებული მასალა ბოროტად გამოიყენოს. ასე, რომ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, როგორც ჩვენს შესახებ, ისე სხვების თაობაზე.

# ონლაინუფლებები

## აქტიური მონაწილეობა

ბავშვების ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ უნდა მოხდეს მათი ასაკისა და მომწიფების შესაბამისად. ბავშვთა უფლებების დაცვისა და გამოყენების უნარი არ უგულებელყოფს მშობლების უფლებამოსილებას გამოიყენონ იგივე უფლებები მათი შვილების სახელით და უზრუნველყონ ამ პროცესის მხარდაჭერა.

- ესაუბრეთ მოსწავლეებს კონფიდენციალურობის, მონაცემებისა და ონლაიუნფლებების დაცვის გზებზე.
- სთხოვეთ, შექმნან სახალისო მიმები ან პოსტერები პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე და გამოფინეთ ისინი კლასის, ან სკოლის კედლებზე.

## უფლებები და პასუხისმგებლობები

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდების უმეტესობა ტექნოლოგიების მოყვარული და აქტიური მომხმარებელია, ისინი უნდა შთავაგონოთ, გამოხატონ აზრი საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების  შესახებ. რას ფიქრობენ ისინი პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციებზე?

- სკოლას აკისრია პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციების შესრულების და მოსწავლეებისათვის მათი სწავლების პასუხისმგებლობა.
- სკოლასთან და/ან მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ ბავშვზე ორიენტირებული პოსტერი პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციების შესახებ. განიხლიეთ თემა კლასში და განათავსეთ პოსტერი საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას.

## კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

ბავშვებმა უნდა ისწავლონ  ონლაინ- და ოფლაინსერვისების მიერ პერსონალურ მონაცემთა მოთხოვნის სადარაჯოზე ყოფნა.

- გაეცანით თქვენი სკოლის კონფიდენციალურობის პოლიტიკას და დარწმუნდით, რომ მიმართავთ უსაფრთხოების შესაბამის ზომებს მავნე შეტევებისა და მონაცემთა გაჟონვის საწინააღმდეგოდ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცულობას.

# ონლაინუფლებები

## სამომხმარებლო ცნობიერება

ელექტრონული კომერციის საიტებზე ნავიგაციისას, მომხმარებლებს უნდა ესმოდეთ ვებგვერდის სანდოობის გადამოწმების გზები და პერსონალურ მონაცემთა მინიმუმის გაცემის მნიშვნელობა.

- ყველანი ვიღებთ მაცდურ ფიშინგ-სატყუარებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლებიც სხვადასვა დროს ისეთი  პრიზების მოგებას გვპირდებიან, რომელთა „ხელიდან გაშვებაც არ შეიძლება“.
- აჩვენეთ კლასს ფიშინგის მაგალითები და შეახსენეთ მოსწავლეებს, არასოდეს წამოეგონ სატყუარაზე მაშინაც კი, როდესაც ისინი თითქოს ოჯახის წევრების, ან მეგობრების გამოგზავნილად გამოიყურება. უმჯობესია დავრწმუნდეთ, ვიდრე ვინანოთ!

## კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უნარების განვითარება მოსწავლეებისათვის

**ევროპის საბჭოს ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული სხვა გამოცემები**

- Educating for a video game culture – A map for teachers and parents (2021)
- Digital citizenship education - Trainers' Pack (2020)
- Digital Citizenship Education – Lesson plans for educators available at https://www.coe.int/en/web/education/new-materials
- Digital Citizenship Education Handbook (2019)
- Bullying: perspectives, practice and insights (2017)
- Internet Literacy Handbook (2017)

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ:**
**www.coe.int/education**

**ავტორები:**
Janice Richardson
Veronica Samara

**თარგმნილია:**
მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნულმა ცენტრმა

განსაკუთრებული მადლობა
პასკალ სერიეს

PREMS 036123

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE